სამშობლო

შაბათი,
23 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ქუთაისის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 80 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 8 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 339. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 339

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თვით ტკბილად ძმობილთ მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ციცაძე გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

მასწავლებელი სერგო ივანეს ძე თოფურია და მეუღლე მისი ანტონინა ვლადიმერის ასული მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ გარდაცვალებას დაუვიწყარი დედის,

ნინო ივანეს ასულის თოფურიასას,

გამოსვენება მოხდება კვირას, 24 აპრილს, ნაშუადღევს 4 საათზე, ქვიტირის ქუჩა, საკუთარი სახლიდან.
145 1—1

კვირას, 24 აპრილს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გარახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ომაინ იესეს ძის იოსელიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, უბედური მეუღლე მისი ანნა არქიპოს ასული იოსელიანისა. წირვა დაიწყება ათ საათზე, ხოლო პანაშვიდი თორმეტის ნახევარზე
1—147

გულ-დათუთქული მშობლები: სერგო დავითის ძე ერისთავი და მეუღლე მისი პელაგია ერისთავისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ამა აპრილს, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გადაცვალებულის შვილის

მიტუშა (დიმიტრი) ერისთავის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაში, შემდეგ წირვისა პანაშვიდი.
3—2

ბესარიონ ვასილის ძე გვახარია თავის შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 აპრილს, ქუთაისის საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ-

ზესნა (იგივე ესმა) სპირიდონის ასულის
გვახარიას

სულის მოსახსენებლათ.

ქვრივი ელენე ქაიხოსროს ასული შუბლაძისა, შვილები: სამსონ, ვალერიან, ვასილ და ილია შუბლაძენი, და პასიკო კოსტას ასული ნიკარაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ სამშაბათს, 26 აპრილს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ივანე კოსტას ძის შუბლაძის

სულის მოსახსენებლათ
146 პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე 1—1

ქიმი ი. ჩარმძოზი ქალაქ. საავათ მყოფოს ორდინატორი. განაახ ენის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფე- მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. ღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიკარაძის № 46, ტელეფონი № 87.
14 თ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენები იქნება: გომონის ქრონიკა. მიმდინარე ამბები.

როდის დასჭკნა სიყვარულის ყვავილები.

ძლიერი დრამა სამ ნაწ. ცნობილ მსახიობთა: ევა ტომსენის და ელზა ფრეილიხის მონაწილეობით.

ქალების მესაიდუმლე.

კოროტიშვილის მონაწილეობით.

კვირას, 24 აპრილიდან, მხოლოდ ერთი დღით ს მხედრო სანახაობა

რუსის დროშის ქვეშ. პირველი სერია მეორე სამამულიშვილო ომის ციკლისა. აქ ნაჩვენებია რუსის ჯარის ყველა ასპარეზის დიდი ბრძოლები, როგორც კონტინენტზე, ისე ზღვაზე. სურათები გადაღებულია სკობელევის კომიტეტის მიერ

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 21 აპრილიდან ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა

მოწაფეებისათვის და ბავშვებისათვის აკრძალულია.

ქრონიკა გომონის. მიმდინარე ამბები.

ცოლი

არციბაშევის ნაწარმოების „ქმარი“-ს საპასუხოთ. 6 ნაწილად. მონაწილეობას მიიღებენ: ლაზაროვისა, მურომსკისა, დობკინსკი, შულგინი. Poseue დადგმულია სვეტლოვისაგან.

კვირას, 24 აპრილიდან მხოლოდ ერთი დღით – სამხედრო სანახაობა

რუსის დროშის ქვეშ. პირველი სერია მეორე სამამულიშვილო ომის ციკლისა. აქ ნაჩვენებია რუსის ჯარის ყველა ასპარეზის დიდი ბრძოლები, როგორც კონტინენტზე, ისე ზღვაზე. სურათები გადაღებულია სკობელევის კომიტეტის მიერ

ქუთაისის რეალური სასწავლებელი

კვირას, 24 აპრილს, 12 საათზე, გაიხსნება

გამოფენა

მოსწავლეთა ნამუშევრების **ხატვისა, ხაზვისა, ხეზე ამოჭრისა** და **თიხით კეთებისა.** სხვა და სხვა ნივთების გამოფენა იქნება გახსნილი აგრეთვე 25, 26, 27 და 28 აპრილს საღამოს 5—7 საათამდე.

ფასი შესვლისა 20 კაპ., მოსწავლეებსა და ბავშვებზე 10 კაპ.

მთელი შემოსავალი გადადებული იქნება რომანოვის კომიტეტისათვის გლეხთა ობლების და ომში დახოცილ და დამახინჯებულ მეომართა შვილებისათვის. 147—2—1

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.
მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3
113 1—თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.
11 თ.

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.
პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძესა. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **მოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ბეითალი **პ. ვ. ნეურონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ჯალაბ ვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

21 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი.

მტერმა იკსკიულის დვინის პოზიციების მიმართ საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა. დვინსკის ჩრდილოეთით ბევრ ადგილას მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ და ყუმბარები ჩამოჰყარეს, დაბა კრევოს რაიონში საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა.

კავკასიის ასპარეზი.

ბაიბურთის მიმართულებით ოსმალთა იერიშები უკუ გდებულ იქნა, აგრეთვე უკუ ვაგდეთ ოსმალთა იერიშები ერზინქანის მიმართულებით.

დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

339

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური)

დღეს საფრანგეთ-ბელგიის ფრონტის შესახებ ცნობა არ მოსულა.

კავკასიისა და ოსმალეთის ფრონტზე ოსმალთ ჯარი ერზინჯანის მხრიდან იერიშებს განაგრძობს: ბეიბურთის რაიონში რუსეთის ჯარმა ოსმალთა იერიში მოიგერია, სხვაგან ამ ფრონტზე საყურადღებო არაფერი მომხდარა; სპარსეთიდან ცნობა კიდევ არაა.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე მოპირდაპირეებს მეტი სიცხოველე ეტყობათ. აქ გერმანელები ჯერ კიდევ საარტილერიო ბრძოლით კმაყოფილდებიან, თუმცა დროგამოშვებით ხან აქ, ხან იქ იერიშებსაც იწყებენ. განსაკუთრებით ყუმბარებს უშენდენ ისევ იქსკიულის სიმაგრეებს, მერე დვინსკის პოზიციებს და დვინსკის სამხრეთითაც ბევრ ალაგას არტილერიას ამოქმედებდენ, მაგრამ იერიში არსად არ უცდიათ. გაცხარებული საარტილერიო გაჯიბრება გაიმართა დ. კრევოსთან; მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შესძლო წინ წაწევა. დანარჩენ რაიონებში ჰაეროპლანები მოქმედებდენ.

ინგლისში. როგორც ლორდ ფრენჩი აცხადებს ირლანდიელთა აჯანყება ჯერ კიდევ არ გათავებულა: გალუელსის საგრაფოს სამხრეთ ნაწილში აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარს შორის ისევ შეტაკებები ხდება.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სალონიკის მიტინგზე.

სალონიკის მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა საბერძნეთის ყოფილმა მთავარ მინისტრმა ვენიზელოსმა, რომელმაც განაცხადა, რომ სამშობლოს ხსნისთვის აუცილებლათ საჭიროა, საბერძნეთი ახლავე „მოკავშირეების" მხარეზე დადგესო

მოკავშირეები და საბერძნეთი.

სამხედრო წრეებში ხმა გავრცელდა, რომ მოკავშირეები საბერძნეთის ულტიმატუმებსაც კი არ წაუდგენენ ისე გადმოიყვანენ სერბიის ჯარს კორფუდან სალონიკში, თუნდაც ამისთვის ძალის ხმარება დასჭირდეთ.

ბალკანეთში

— ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ „უნივერსულის" ცნობით ბულგარეთის ჯარის წინამძღოლმა სალონიკის წინააღმდეგ გალაშქრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამის მიზეზი ისაა რომ გერმანელები ამ ფრონტზე საკმაო დახმარებას ვერ უწევენ ბულგარელთ და მხოლოდ იმდენ ძალას სტოვებენ რაც ბულგარელთ თავდაცვის ტაქტიკისათვის გამოადგებათ. ამასთან სერბიაში და ბულგარეთში მყოფ გერმანელ აფიცრებს ბერლინიდან ბრძანება მოუვიდათ, რომ დაუყონებლივ ჩააბარონ თავიანთი პოსტი ბულგარელთ და გერმანიისაკენ წამოვიდენ რათა იქ ოფიცერთა ნაკლებობა შეავსონ.

— სალონიკიდან დეპეშით იტყობინებიან: ბულგარეთ-გერმანიის ჯარმა საცდელათ იერიში მიიტანა და მოულოდნელათ თავს დაესხა ფრანგთა რაზმებს კილინდრის რაიონში. იერიში ფრანგებმა მოიგერიეს და მტერი დიდი ზარალით უკუიქცა.

— ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობის განცხადებით მოკავშირეების ფლოტმა სმირნის ნაპირებზე კესტენის რაიონში თავდასხმა მოახდინა და სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინა: ამავე დროს ჰაეროპლანები შიგ ქვეყნის შუაგულისაკენ გადაფრინდენ და ტოჩის რაიონში ყუმბარები ჩამოისროლეს, სადაც ოსმალთა ჯარების ბანაკს დიდი ზიანი მიაყენეს.

პარიზელნი გერმანელების მომავალ გამოსვლაზე

პარიზის ავტორიტეტულ უწყებაში შესაძლებლათ სთვლიან რომ გერმანელების კრეისერების ახლანდელი თავდასხმა ინგლისზე წინამორბედია უფრო დიდი ბრძოლებისა ზღვაზე ვერდენთან ბრძოლაში დამარცხება, მცირე აზიაში მოქმედების გეგმის ჩაშლა და გერმანიის ხალხის მთავრობისადმი უკმაყოფილება გერმანიას იძულებულს ხდიან მიმართოს მან უკანასკნელ საშუალებასო ფლოტს, აგრეთვე ცეპელინებსაც.

ომი და საგაზეთო განცხადება.

„რუსკია ვედომოსტს" ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით გერმანიაში ამ ომის დროს სულ 3,075 პერიოდული გამოცემა დახურულა თითქმის ყველა ეს იმას გამოუწვევია, რომ ომის გამო განცხადებათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულა.

ოსმალეთი და რუმინია.

როგორც ბუქარესტიდან იტყობინებიან გამოირკვა, რომ რუმინიასა და ოსმალეთ შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება ისეთივე ხასიათისაა, როგორც გერმანიასთან ამ ამბავს ოსმალეთის პრესა აღტაცებით მიეგება, ხოლო რუმინიის მინისტრი ფილიპესკუ „უნივერსულში" ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს, იგი სწერს: ვიდრე ოსმალეთი იმ სახელმწიფოების მხარეზე დგას, რომლებიც რუმინიის ხელში ტრანსილვანიის გადასვლის წინააღმდეგნი არიან, მანამ რუმინიას უფლება არა აქვს ოსმალეთის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას ხელი შეუწყოს. ოსმალეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებით რუმინია თავის ეროვნულ იდეალებზე ხელს იღებს, რაც ფილიპესკუს აზრით რუმინიის დაღუპვას მოასწავებს.

ორჭოფი პასუხი.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქუთაისში კულტურულ კავშირის რწმუნებულების არჩევნების დროს ფედერალისტებმა განდევნეს სხვა ჯგუფები ამ მოქმედებას იმით ამართლებდენ, თითქოს ყოფილიყოს შეკრული კავშირი ესდეკებსა და ნაც. დემ. შორის, რათა ფედერალისტები გაედევნათ. რადგან ქუთაისის მაგალითი სრულიად წინაამდეგს გაჩვენებდა, რამდენიმე პირმა — ესფერმა დრამატიულ საზოგადოების კრებაზე უტიფრად განაცხადა: თფილისში შედგენილია სია კავშირის გამგეობისა, რომელშიაც არც ერთი ესფერი არ არისო. ეს განცხადება დაადასტურა კ. აბაშიძემაც

გაზ „საქართველომ" კიტა აბაშიძე სცნო სხვაზე უფრო შეკითხვის ღირსად, რაზედაც ბ. აბაშიძე შემდეგ პასუხს იძლევა:

კრებაზე მე „საქართველო" არ მახსენებია. მე განვაცხადე, რომ ვნახე სია, რომელშიაც არ იყო არც ერთი ფედერალისტის სახელი, არამედ იყვნენ გვერდ წოდებული „ნაციონალურ-დემოკრატიულ" პარტიის თანამოაზრენი და ერთი ესდეკი. მე იქვე განვაცხადე, რომ არ ვიცი შეთანხმების ნაყოფი იყო ეს სია თუ არა, იმიტომ, რომ მე არც არავინ მიმიწვევდა, რასაკვირველია, მაგნაირი სიის შედგენის დროს.

კიტა აბაშიძე

ეს პასუხი ფორმალურად სიმართლესთან ახლოა, ხოლო არსებითად იეზუიტურია.

დრამატიულ საზოგადოების კრებაზე წამოყენებული იყო ბრალდება, რომ დასელები და ნაც. დემოკრატები ბლოკით შეკრენ ერთმანეთს, რათა კავშირის გამგეობაში არც ერთი ესფერი არ გაეშვათ და სწორეთ ეს დაადასტურა ბატონმა კიტამ. ეხლა კი გულუბრყვილოთ ამბობს: სია იყო, მაგრამ ვისი შედგენილია ან რა მოსაზრებით, არ ვიცით.

რამდენათ მართალი იყო ესდეკებისა და ნაც. დემოკრატების გალაშქრება ესფერების წინააღმდეგ, უკვე დაამტკიცა: მიუხედავათ დიდის უმრავლესობისა კავშირის რწმუნებულთა კრებაზე ესდეკებსა და ნაც. დემოკრატებს გვეგონია არ ჩაუგდიათ ხელში და იმდენივე ესფერი ამოირჩიეს, რამდენიც თვით მათგანმა; თანაც უნდა დავუმატოთ, მაშინ, როცა ესფერების უკიდურესი წევრები არიან გამგეობაში არჩეული, ნაც. დემ-ების მხოლოდ თანამგრძნობნი იყვნენ წამოყენებული და ისეთნი, რომელთაც ვერვინ დაიწუნებდა.

სინამდის ივლი ბ. კიტა, ასეთის გზით?!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მორიგი ნომერი ჩვენის გაზეთისა, დღესასწაულების გამო, გამოვა სამშაბათს, 26 აპრილს.

◆ გაზეთ „მეგობრის" დღევანდელი ნომერი გამოვა ხვალ, 24 აპრილს.

ხვალ, დილის ათ საათზე, მოხდება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება განსახილავია შემდეგი კითხვები: 1.) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების 1915 წლის ანგარიშის. 2.) განხილვა და დამტკიცება 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა 3.) საზოგადოების წესდების რამოდენიმე მუხლის შეცვლა. 4.) საპენსიო კასის დაარსება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მოსამსახურეთათვის. 5.) არჩევა გამგეობის თავმჯდომარისა, ერთი საბჭოს და სამი სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამ უკანასკნელების კანდიდატებისა, რომლებიც ჩვეულებისამებრ წელს თავისუფლდებიან.

◆ ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი უკვე დაბრუნდა თბილისიდან და გუშინ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ გუშინ, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის 6 კლასში, სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლის თანდასწრებით, დაიწყო წერითი გამოცდები.

◆ 20 აპრილს, საოჯახო კომისიამ შეიმუშავა უსაჭიროეს სანოვაგეზე ნიხრი: საპონი გირ. 6 შ. სანთელი გირ. 15 შ. ერბ. გირ. ერთი მან. და ათი შაური, ყველი გირ. 28 კაპ კვერცხი 10—7 შ. ასი სამი მან. და ერთი აბაზი.

◆ **სეირნობა** ხვალ ქალაქის ბაღში დანიშნულია საჯარო სეირნობა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ქუთ. კლასიკურ გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის სასარგებლოთ.

◆ ფოთის ქალაქის თვითმართველობამ ქუთ. გუბერნატორს წარუდგინა [illegible] ცვლით მეეტლეებზე ახალი ნიხრი.

◆ ქუთაისში [illegible] კვლავ იჩინეს [illegible] ნოვის ქუჩაზე მცხ. აკაკი მზეიძის ს დან მოიპარეს შინაური ფრინველები: ჭიროა ყურადღების მიქცევა.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ჯ კაცის დამალვისათვის სამი თვის მიუსაჯა (სენაკის მაზ.) ს. ტკირის მ რებს გაბრიელ აბშილავას.

◆ ქუთაისის საგუბერნიო სასოფ საკრებულო სთხოვს ქუთ. ქალაქის გეობას ყველა ხარისხის შაქარზე დ გინონ ნიხრი.

◆ გუშინ, 23 აპრილს, უნდა დგარიყო ქუთაისში ბ სოლოგუბის ცია, მაგრამ თბილისის ქალ. მოურ უკანასკნელი ცნობით, შემდეგ გადაიდო.

◆ ბათომის ოლქის სამხედრო ბერნატორმა გადმოხვეწილთა და გებლათ მიიღო 14,885 მან.

◆ ქუთაისის საოლქო სასამა უფროსი თავჯდომარე სთხოვს ქუთ ქალაქის მოურავს ბ ნ ი მ. ჩიქოვან ესწროს 17 მაისს სისხლის სამარ საქის გარჩევაზე

◆ ამას წინათ ქუთაისის საგუბ სამოქალაქო საკრებულომ არ დაა ფილა ფოთის ქალაქის თვითმართველო ბის შუამდგომლობა, რომ მისცემოდ ლაქს სესხი მოკლე ვადიანი ვალის სტუმრებლათ 100,000 მან, ამ ფოთის ქალაქის თვითმართველობამ დადგენილება გაასაჩივრა სენატში.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომ № 338) წერილში: მუშათა პ დღე" შემდეგი შეცდომები გაგვ აღნიშნულ სტატიაში სწერია:

1) „დღეს 22 აპრილს სრულდება წლისთავი, რაც რუსეთში" და სხვა.

2) „დღეს რუსეთსა და ჩვენშიაც სცემს ყოველდღიური მუშათა ორგან ები" და სხვა

3) „ამ ჟამათ რუსეთში გამოდის" Наш Голосъ" (სარატოვში).

უნდა იყოს:

1) დღეს 22 აპრილს შესრულდა ხი წლისთავი, რაც რუსეთში პირვე მუშათა ყოველდღიური გაზეთი დაარს

2) დღეს ყოველდღიური მუშათა განო გამოდის ჩვენში, რუსეთში კი ველკვირეული გაზეთი.

3) Нашъ Голосъ"-გამოდის ქ სამა

რას გვეუბნება ისტორია?

წერილი პირველი.

(პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს).

ისტორიულ ამბებს იგივე მნიშვნელობა აქვსთ სოციოლოგიურ დასკვნათათვის, როგორიც საბუნებისმეტყველო ფაქტებს ფიზიკურთა და ბიოლოგიურ დასკვნათათვის. მაშასადამე ისტორია ერთი მხრით აფართოებს ჩვენს მსოფლმხედველობასა და მეორე მხრით გვასწავლის, როგორ უნდა ავიცილოთ წარსულის შეცდომანი მომავალში.

და ჩემი წერილების მიზანია განსაზღვრული ღირსშესანიშნავი ისტორიული ამბების აღნიშვნით გავაშუქო ზოგიერთი უცილობელი სოციოლოგიური დებულება, რომელიც ჩვენში ჯერ აღსარებული არ არის.

ამისთვის კი იმგვარსავე მეთოდსა და გზას ვხმარობ, როგორსაც ბუნებისმეტყველებაში ხმარობენ: ჯერ ფაქტებს განვიხილავ, შემდეგ კი შესაფერ დასკვნათ გამოვიყვან.

მაშ დავიწყოთ.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს საფრანგეთის შინაგანი პოლიტიკური წონასწორობა უკვე დარღვეული იყო და, როგორც ვაჭარმრეწველთ, აგრეთვე მდაბიო ხალხს სული ეგუბებოდათ ძველი, ფეოდალური წესწყობილების შემავიწროებელ ჩარჩოებში.

ერთი მხრით, გაიზარდა ვაჭრობამრეწველობა, მეორე მხრით ნიადაგი მოიპოვა თავისუფლებისა და თანასწორობის იდეამ.

ვოლტერმა დაასამარა ძველი კლერიკალური ცრუმორწმუნეობა, მონტესკიემ გადმონერგა ინგლისის კონსტიტუციის იდეა, ჟან-ჟაკ რუსომ უფლების წყაროდ და სათავედ თვით ხალხი აღიარა, დიდრო, დალამბერი და სხვა ფილოსოფოს-მეცნიერები სათავეში უდგენ განმანათლებელ მოძრაობას.

როგორცა ვთქვით, თავისუფლებისა და თანასწორობის იდეამ თანდათან გაიკვლია გზა ბურჟუაზიასა და მდაბიო ხალხში და უკმაყოფილება ძველი, დრომოჭმული წესწყობილებისადმი თანდათან იზრდებოდა.

დიდ რევოლუციამდის, ე. ი. ბასტილიის აღებამდის (14 ივლისს 1789 წ.), ოთხი თვის განმავლობაში 300-ზე მეტი აჯანყება მოხდა

იმავე დროს სახელმწიფო ვალებით იყო დატვირთული, საკმაო შემოსავალი არ შემოსდიოდა და თავისი მოხელეების შენახვა და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უძნელდებოდა.

როგორც ყოველთვის, როდესაც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდებოდა, მთავრობამ ახლაც წოდებათა წარმომადგენელნი, ან ეგრეთწოდებული გენერალური შტატები, მიიწვია (ვერსალის სასახლეში). ეგონა, ეს კრება ახლაც მხოლოდ თავს დაიბეგრავდა და მორჩილებას აღუთქვამდა

კრება გაიხსნა 5 მაისს. მთავრობის მოლოდინი არ გამართლდა. ეგრეთწოდებულმა მესამე წოდებამ, ვაჭარმრეწველთა და მდაბიო ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარმა, 17 ივნისს თავისი თავი საერო კრებად გამოაცხადა 22 ივნისს მას სასულიერო წოდების წარმომადგენლობაც შეუერთდა. 23 ივნისს მეფემ უარყო მესამე წოდების მოთხოვნილება, მაგრამ საერო კრება არ დამორჩილდა, 27 ივნისს სამივე წოდების წარმომადგენლობა ერთად შეიკრიბა, 2 ივლისს კი საერო კრების სრული შედგენილობა იკრიბება და ჰკიდებს ხელს სახელმწიფოს ხელახალი ორგანიზაციის, აშენების საქმეს

6 ივლისს კრება ირჩევს 30 კაცისაგან შემდგარ კომისიას კონსტიტუციის შესადგენად, 9 ივლისს მუნიე წარუდგენს კრებას მუშაობის პლანსა და სხვათა შორის ხალხის უფლებათა დეკლარაციის პროექტს (ლაფაეტის წინადადებას). ამის პასუხად მთავრობამ კრებას ჯარი შემოარტყა. კრება მოითხოვს ჯარის მოხსნას (8—9 ივლისს). სასახლე უარს ამბობს, გადააყენებს სახელოვან მინისტრს ნეკკერს, რომლის ინიციატივითაც გენერალური შტატები მოიწვიეს, და მოიწვევს ახალ სამინისტროს. კრება აცხადებს, მინისტრები პასუხისმგებელი არიან თავისი მოქმედებისთვისო და კვლავ მოითხოვს ჯარის მოხსნას.

მაშინ საქმეში ჩაერია პარიზი, რომელიც აღსდგა, როგორც ერთი კაცი, დაიპყრო ბასტილია (რომელშიაც პოლიტიკურ ტუსაღებს ამწყვდევდენ) და შეადგინა შეიარაღებული მილიცია (14 ივლისს 1789 წ.) სასახლე დამარცხდა ეს იყო საქალაქო, ანუ მუნიციპალური, რევოლუცია, რომელიც პარიზიდან საფრანგეთის ყველა ქალაქსა და სოფელს მოედო (ივლისში და აგვისტოში 1789 წ)

აქედან იწყება საფრანგეთის ისტორიის ახალი ხანა.

4 აგვისტოს 1789 წ. საერო დამფუძნებელი კრება აუქმებს ბატონყმობას, 11 აგვისტ კი საბოლოოდ სპობს ფეოდალიზმის ნაშთებს ეს დიდი ისტორიული დღეები იყო. ამავე დროს შეადგინეს მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა ცნობილი დეკლარაცია, რომელშიაც აღსარებული იყო პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა.

ამას ხედ დაერთო საერთაშორისო ძმობისა და ერთობის იდეის ჩასახვაც. 1890 წლის მაისში, როდესაც ბჭობა იყო, აქვს თუ არა აღმასრულებელ ორგანოს ომის გამოცხადების უფლება, ვოლნეიმ კრებას შემდეგი წინადადება წარუდგინა: ყველა ერს უნდა ეკუთნოდეს ხელშეუხებლად თავისი სამართლიანი უფლებანი, არც ერთ ერს არ აქვს უფლება დაიპყროს და მიითვისოს სხვა ერის საკუთრება და ბუნებრივი უპირატესობანიო.

11 მარტს 1791 წ. კრებამ გააუქმა ძველი, საშუალ-საუკუნეებისეული ამქრების შემავიწროებელი სახელოსნო კორპორაციები.

2—15 მარტს 1791 წ. დაკანონდა ვაჭრობის თავისუფლება და უცხო საქონელზე ბაჟების შემცირება.

რევოლუციის გამარჯვება იმას მიეწერება, რომ მოძრაობა საერთო იყო 14 ივლისის შემდეგ და 1790 წელს აჯანყებანი პარიზსა, სხვა ქალაქებსა და სოფლებში არ შეწყვეტილა. და, პარიზი თუ რევოლუციის ცენტრი იყო, მიტომ რომ პროვინციებში პოულობდა თანაგრძნობასა და ძალას.

ყოველ რევოლუციას ჰქონია თავისი ცუდი შედეგები — თუმც 1791 წელს კარგი მოსავალი იყო, მაგრამ ვაჭრები შიშნდენ და პურით ვაჭრობას ვეღარ ბედავდენ. ეს გარემოება კი კიდევ უფრო უკიდებდა ცეცხლს მოქალაქეთა მღელვარებას

როგორი იყო მეფის მდგომარეობა? 5 ოქტომბერს 1789 წ. ბრბო დაეცა მეფის სასახლეს, თითქმის დატყვევებული გადაიყვანა პარიზში და დასახლა ტუილერიში მეფეს, რასაკვირველია, საერო კრებაც თან გაჰყვა ამის შემდეგ მეფე—პარიზის ხალხის ტყვე იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ 5 ოქტომბრის ამბავს ხელი არ შეუშალა საერო მილიციის უფროსმა ლაფაეტმა, იმ მიზნით, რომ მეფე დამორ ლოდა მის გავლენასა და არ წინა ღგომოდა ახალ კონსტიტუციას (რომე საც მეფე უარჰყოფდა)

სექტემბერში 1789 წ. მიიღეს კონს ტუციის კანონი, რომლის ძალითაც ფეს მხოლოდ პირობითი „ვეტოს", საკანონმდებლო კრების მიერ მოწონ ლი კანონის დამტკიცების მხოლოდ დადების უფლება ეძლეოდა.

მეფეს ამ კანონისა და საზოგადოდ ლი კონსტიტუციის შეწყნარება ეძ ემძიმებოდა- და სწორეთ ეს იყო მიზე პარიზში რომ გადმოასახლეს (5 ოქტ

დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგ დენ ამ დროს პოლიტიკური კლუბ უძველესი კლუბი დაარსდა ვერსალ მის წევრებად იყვნენ ბრეტონელ პუტატები, რომელთაც მალე სხვა დე ტატებიც შეუერთდენ (სხვათა შორის ბატი სიეზსი. ეს კლუბი, რომელმაც მოკრატიული მიმართულება მიიღო, რო კრებასთან ერთად პარიზში გად და და კვირაში სამჯერ იკრიბებოდ კობელთა ყოფილ მონასტერში. იაკო ლთა მიმართულებას გამოეყო უფრო დიკალური რტო (კორდელიერების კლ ბი) აგვისტოში 1790 წ იაკობელთამ კლ პარიზის სხვადასხვა კუთხეში 152 განყ ფილება ჰქონდა, აპრილში 1791 წ. უკვე 2000 განყოფილება. კლუბს ჰქ და აგრეთვე თავისი გაზეთი. ოფიცი რი მთავრობის გვერდით გაჩნდა არა ო ციალური, მაგრამ კიდევ უფრო ძლი მთავრობა

სიეზსმა, ტალეირანმა, მირაბომ და ლ იეტმა უფრო ზომიერი მიმართულ კლუბი დააარსეს.

კლუბებს გარდა იყვნენ კიდევ ეგრ წოდებული ფედერაციები—კავშირები

დიდი საქმის შესახებ

წავიკითხე პროვიზორ ვ. კახიანის წერილი დიდი საქმის, სააქციონერო საზოგადოების დაარსების შესახებ ჩვენში — საფთიაქო საწყობის, ლაბორატორიის საპარფიუმო ქარხნის მოსაწყობად და სხვა.

საქმე სერიოზულია, აზრი სიმპატიური.

არც ერთ ცოდნის დარგში ქართველებს არ გვყავს იმდენი სპეციალისტი, რამდენიც ფარმაციაში.

რიცხვი ქართველ ფარმაცევტთა იმდენია, რომ უკულმართი პოლიტიკა — ქართველების დევნისა ვერას გახდა და 90 პროცენტი ქუთაისის გუბერნიის აფთიაქებისა ქართველთა ხელშია.

ასეა თითქმის ტფილისის გუბერნიაში.

გამონაკლისს შეადგენს ქ. თბილისი, სადაც ერთი ქართველი მოხელის წყალობით, რომლის ხელშიაც პრივილეგიების განაწილება იყო, ქართველებმა ფეხი ვერ მოიკიდეს. დიახ, აფთიაქები ჩვენს ხელშია, მისი მწარმოებელი და მომხმარებელიც ჩვენ ვართ, მხოლოდ მოგება, დოვლათი კი სხვებს, გადამთიელებს მიაქვთ.

ასე ხდება, რადგან შინ არაფრის გაკეთება ვიცით, ან არ ვაკეთებთ და დიდ მწარმოებელს, პირველ ხელს კი ვერ ვწვდებით.

დღეს' ფაქტიური მბრძანებელი და პატრონი ჩვენი ეგრედ წოდებული „კავკასიის ამხანაგობაა“, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს ნამეტურ წვრილ აფთიაქებს და რომელიც უფრო ჩარჩის როლს ასრულებს ჩვენში, ვიდრე მწარმოებელ კაპიტალისტისას.

ადრე თუ გვიან, უნდა დაბადებულიყო თავდაცვის, გაერთიანების აზრი და დღეს ეს საკითხი დიდი ყურადღების ღირსია ქართველი საზოგადოებისგან და კერძოდ ფარმაცევტთაგან.

საზოგადოებას ფართო ასპარეზი ექნება სამოქმედოდ.

საზოგადოება ეროვნულ საქმესაც დიდ სამსახურს გაუწევს. კავკასია და ჩვენი სამშობლო კერძოდ ხომ დაუშრეტელ სიმდიდრის წყაროდ არის ცნობილი.

რა გვარ ძვირფას მადანს, ან სამკურნალო ბალახს, მცენარეს არ შეხვდებით ჩვენში.

ჩვენ მისი სახელი, რუსულად, ლათინურად კარგად ვიცით, ქართულად კი არა.

ალბად ჩვენი ხალხი საუკუნოების განმავლობაში ყველაფერს თავის სახელს უწოდებდა.

ჩვენ ეს გაბნეული სახელწოდება უნდა შევკრიბოთ.

ქართული ძველ მწერლობიდან, კარაბადინებიდან ამოკრებით ტერმინოლოგია, რაც მეცნიერული თვალსაზრისით საუკეთესოა.

ყოველ პრეპარატს, საქონელს, — წამალს, ადგილობრივ გასავრცელებლად ქართული სიტყვით დავასახელებთ. ქართულ ენას, ყოველი სფეროდან განდევნილს და ცხრა კლიტულში ჩამწყვდეულს, გზას გაუხსნით. ვსთქვათ ეპატიება ვილაც მიკიტანს, სადღაც სვირში, ღვინის ბოთლზე რუსული იარლიყები, წარწერები დააკრას ქართველ მომხმარებელთათვის; მაგრამ ნუ თუ დასაგმობი არ არის მაგ. ქუთაისში, თუნდა ქალაქის აფთიაქმა, „პიტნის წვეთების“ მაგიერ, სხვა ენაზე აწეროს სახელწოდება და დარიგება როდესაც ამისთვის ძალას არავინ ატანს: ამ მხრივ პოლონელებისგან მაინც გვესწავლა რამე...

ვიმეორებ საქმე დიდი თანაგრძნობის ღირსია, მხოლოდ მიკვირს რად ჯერ დაეკითხა ბ-ნი კახიანი ამ საქმის შარშანდელ ინიციატორთ, რომ საქმე უფრო ბეჯითად და მკვიდრად დაწყებულიყო შარშან, ერთმა ჯგუფმა აფთიაქებისამ ანკეტა გამართა მთელ ქუთაისის და თბილისის გუბერნიაში — განზრახული ამხანაგობის დაარსების შესახებ ანკეტამ, რომლის პასუხებიც ჩემთან ინახება, მოლოდინს გადააჭარბა.

ამ კეთილ აზრს აღფრთოვანებით შეეგება 99 პროცენტი.

უნდა დანიშნულიყო საზოგადო ყრილობა, მაგრამ საქმე შეაჩერა უმაგალითო ომმა.

„ს. ფ.“

მახ. ჩხეიძე

სასურველია ამ დიდ საქმეს ყურადღება მიაქციონ, როგორც ფარმაცევტებმა, ისე ვაჭარ-მრეწველებმა.

აქციონერული საზოგადოება უნდა იქნეს შედგენილი არა საქველმოქმედო მიზნით, როგორც ჩვენში ხშირათ ხდება, არამედ ვაჭრულ ნიადაგზე უნდა იქნეს დაყენებული, რათა ყოველი მონაწილე საზოგადოებისა პირადათ იქნეს დაინტერესებული. ყოველს გამოთქმულ მოსაზრებას რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს.

მასწავლებელ. ყრილობა

(პეტ. დეპ. ს.)

კიევში მასწავლებელთა ყრილობამ შემდეგი რეზოლუციები გამოიტანა: უარჰყონ საერთო განათლების სასწავლებელთან დაარსებულ გიმნაზიებში ძველი ენები და ლათინური ენა უკანასკნელ 4 კლასში დასტოვონ მხოლოდ მსურველთათვის. გამოითქვა სურვილი გიმნაზიის ინსპექტორთა თანამდებობის გაუქმებისა, რომელთა მაგიერობას კლასის დამრიგებელნი აასრულებენ. სარეპეტიციო მომზადების და მეორედ დარჩენის სურვილიც გამოსთქვეს. გადასასვლელი გამოცდა უნდა გაუქმდეს უნდა გადაისინჯოს გეგმა სწავლისა საშუალო სასწავლებლებში. პედაგოგიურ საბჭოს ნება მიეცეს სახელმძღვანელოების არჩევისა. ცოდნის დასაფასებლად ნიშნების მაგიერ სხვა რამე წესი შემოიღონ სასწავლებლებიდან სასწავლებლებში და კლასიდან კლასში გადასვლის დროს ნიშნები დარჩება. სასურველად სცნეს საექიმო ფაკულტეტთან დაარსდეს კათედრა ბავშვის ფსიხოლოგიისა. სასწავლებელთა ექიმების უფლება, მასწავლებლების უფლებას უნდა გაუთანასწორდეს.

რას ივედრებიან ჩვენი ფედერალისტები?

(დასასრული)

(იხ. „სამშობლო № 338).

გაზეთი „მეგობარი“ იმდენად დაწვრილმანდა და გამოთაყვანდა, რომ ყველაფერი სამასხაროდ მიაჩნია და ადამიანის სამართლიანი გულის-ტკივილი და მწუხარება, — მწუხარება გამოწვეული იმ გარემოებით, რომ წრფელი გრძნობა და ნათელი აზრი ვიგინდარაების სათრევად ხდება, ამ გაზეთს გიჟივით აღრიჯებს! (იხ „მეგ. №42)

ასევე სულელურად იქცეოდენ ხოლმე ის „მასწავლებელნიც“, რომლებიც მოეწვიათ გ—ის სასულიერო სასწავლებელში.

მათზე არც სიტყვა მოქმედებდა, არც ხვეწნა, არც გულწრფელობა, არც ადამიანობა!

ბატონ-ყმობა იყო მათი იდეალი და ჯაშუშობა, მათი ფარხმალი!

მაგრამ საბაგელ „მასწავლებლებთან“ ერთად განგებას ამ ჯოჯოხეთში რამდენიმე მხნელი ანგელოზიც გამოეგზავნა და პირველი მათ შორის იყო ძვირფასი მასწავლებელი, დღეს მხცოვანი და თვალსაჩინო მწერალი სოფრონ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი.

ჯერ ისევ მესამე კლასში ვიყავ, რომ სოფრონმა შეადგინა პაწია ჯგუფი მოწაფეთა და დაგვიწყო განსაკუთრებული სწავლება, დარიგება. გვაკითხებდა ქართულ წიგნებს, გვიხსნიდა თუ რა არის საზოგადოთ ადამიანისა და განსაკუთრებით დაჩაგრული ერის შვილის მოვალეობა.

ორი წლის განმავლობაში იმდენად მოგვამზადა, რომ მეოთხე კლასში ჩვენმა ჯგუფმა გაიჩინა ხელთნაწერი ჟურნალი, სადაც ყმაწვილურის აღშფოთებით ვებრძოდით ყოველივე სიგლახეს.

ეს იყო 1886 წელს. აი, ამ წლიდან იწყება ჩემი დაკვირვებანი.

ამ წელსვე მოჰკლეს თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, ამას მოჰყვა ეგზარხოს პავლეს მიერ საქართველოს დაწყევლა. ეს ვერ მოითმინა დიმიტრი ყიფიანმა და საქვეყნოდ ამხილა ზოგიერთა დიდი მოხელის უმსგავსოება. ამისთვის იგი გააციმბირეს და ერთი თუ ორი წლის შემდეგ ხომ ვილაცაებმა მოჰკლეს კიდეც[1].

დიმიტრის მოკვლის გამო, აკაკიმ დასწერა მშვენიერი ლექსი და ყიფიანს უწოდა „დიმიტრი თავდადებული“ ეს ლექსი და ყველა ზემოდ მოყვანილი ამბავი საშინლად აღელვებდა ქართველთა მოწინავე საზოგადოებას და ყველა, ცოტად თუ ბევრად, შესმენილი ქართველი ყურმახვილად იყო, სცდილობდა გარკვეულ გზას დასდგომოდა, გარკვეული პოზიცია დაეჭირა საქართველოისა და ქართული საქმის ასაღორძინებლად.

აი, ამ დროს (1886—1889 წ. წ.) ყველაზე უფრო გაცხოველდა ეროვნული იდეა, რომელსაც ახლა დაბლაუჭებიან ჩვენი ფედერალისტები და რომელიც თავისი ვაჟკაცობით გამოჭედილი ჰგონიათ.

მაშინ ცხრა მეათედი ახლანდელის ფედერალისტებისა ან ჯერ სულ არ იყო დაბადებული და ან ჯერ ისევ ფეხშიშველა დატანტალებდა წუმპეში.

მაშასადამე, ფედერალისტებს არაფერი იდეაც არ შეუქმნიათ არც პოლიტიკური და არც ეროვნულ ხალხოსნური.

ნეტა რაც იყო, ისიც არ დაემახინჯებინათ და წმინდა, თავისუფალი აღმაფრენა ქართველი კაცის გულისთქმისა „ბატონყმურ დემაგოგიათ“ არ გადაექციათ. (იხ „მეგობარი“ №121.)

საქართველოს ავტონომია, რომელიც ჩვენ ფედერალისტებს თავისი პოლიტიკური სიბრძნისა და გამბედაობის ნაყოფი ჰგონიათ, მაშინაც და ახლაც უფრო ფართეთ და სავსებით სწამდათ და სწამთ არაფედერალისტებს, ვინაიდგან ვერც ერთი ქართველი ვერ დასთმობს იმ ნაწილს საქართველოისას, რომელიც ასე გულუხვად „გაუბოძეს“ ფედერალისტებმა, ოღონც კი თავი გამოეჩინათ და მეზობლებს მხოლოდ ფედერალისტები ეღიარებინათ „ერთად ერთ ხალხოსნურ და ძლიერ პარტიად მთელს საქართველოში“.

სხვათა შორის ეს წინდაუხედაობა და „კნიაზური გაჩუქება“ იყო მიზეზი, რომ უფრო დარბაისელმა და გულწრფელმა ნაწილმა ქართველობისამ ზურგი შეაქცია დღევანდელ ფედერალისტებს.

1893 წელს მოხდა აჯანყება თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ მოვლენამ ერთ ფიქრად შეჰკონა მაშინდელი ახალგაზდობა და დაიწყო ისეთი ხალხოსნური მოძრაობა, რომელიც დღევანდელ ფედერალისტთა წვრილ[illegible] შიაც არ მოელანდება, [illegible] მაისში, ევნატე ნინოშვილის დასაფლავების დღეს, უკვე დაირაზმა იგივე ახალგაზდობა ყოველივე სიგლახესთან საბრძოლველად.

ყველაფერის თქმა, ან დაწერა შეუძლებელია, ჯერ საამისო დრო არ დამდგარა, მაგრამ მაშინდელ მცნებათათვის, რომ ფედერალისტებს არა მიუმატებიათ რა, ამას ფედერალისტების გარდა ყველანი კარგად ხედვენ.

დღევანდელი ორპირი პოლიტიკა ფედერალისტებისა და მათი ქიცინი სოციალიზმისადმი აჩრდილიც არ არის იმ დემოკრატიულ-ხალხოსნურ გულის თქმისა, რომელიც მაშინ სუფევდა და რომელსაც დღეს მხოლოდ ჩვენი ჯგუფი ატარებს...

ჩვენ ყოველთვის სიმწრის ღიმილსა გვგვრის ფედერალისტების დღევანდელი პოლიტიკა, მაგრამ როცა მაგონდება ხოლმე ნამდვილი დემოკრატიული, ნამდვილი და წმინდა ხალხოსნური ფიქრი და ზრახვანი საქართველოს გულწრფელ დემოკრატ გუშაგებისა, მინდა დავიყვირო:

— ბატონნო ფედერალისტებო! დემოკრატობა ის კი არ არის, მაღლა თაროზე შებრძანდე და იქიდან იღრიალო „დემოკრატი ვარო, არ! დემოკრატობა ის არის, რომ გწამდეს და გიყვარდეს „ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“, მიხვიდე მასთან და ხელი გაუწოდო, თავი გაუყადრო და წამლადაც კი დაედო, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

თქვენ კი დემოკრატიასთან არაფერი საერთო არა გაქვთ-რა, ვინაიდგან საჯაროდ გაიძახით: „ველას რომ დირიჟორის ჯოხი დავუთმოთ, სადირიჟორო აღარავინ იქნებაო“

რას ნიშნავს ასეთი თქვენი თქმა, თუ არა იმას, რომ თქვენ გწადიათ იბატონოთ მასსაზე, ვინაიდგან მასსა თქვენამდე ჯერ-ჯერობით ვერ ამოვა. თქვენ ხომ ყველა დიდი ნასწავლი და დიდი სამსახურის კაცები ხართ!

ჭეშმარიტი დემოკრატი თავის დღეში გულშიაც კი არ გაივლებს ვისზედმე ბატონობას, ვინაიდგან ნამდვილ დემოკრატისათვის აღარ არსებობს ბატონი და ყმა, ის ეტრფის მხოლოდ თავისუფალ კაცს თავისუფალ ქვეყანაში!

თქვენ კი ამას ვერ მოინელებთ, ბატონნო ფედერალისტებო, და კვლავ გაკვირვებითა და რიხიანად წამოიძახებთ: „ყველა რომ თავისუფალი იყოს, მონა ვიღა იქნებაო!“ ასეთია თქვენი ბუნება.

ნაპოლეონს უთქვამს: სკვითი რომ გადაფხიკო, თათარი ამოჰყოფს თავსაო. თითოეული თქვენთაგანიც რომ გადაფხიკოს კაცმა, — ბატონნო ფედერალისტებო,

---

ხობელი ოლქების საერო მილიციონერებისა, რომელნიც შეფიცვებული იყვნენ არ ელალატნათ ერთმანეთისათვის და დაეცვათ საერო კრების ბძანებანი

დიდი სამსახური აღმოუჩინა ამ კავშირებს, კლუბებს, საქალაქო თვთმართველობათა (კომუნებს) და საზოგადოდ რევოლიუციის საქმეს თავისუფალმა პრესამ.

ჯარის პირისპირ გაჩნდა მეორე შეიარაღებული ძალი—საერო მილიცია, კომუნები (საქალაქო თვითმართველობანი), კლუბები და სხ. თვთ ჯარშიაც კი შეირყა დისციპლინა.

რევოლუციამ, როგორც გრიგალმა, აღგავა სასულიერო წოდებაც. საერო კრებამ 10 ნოემბერს 1789 წ. მთელი საეკლესიო ქონება — სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა და სამღვდელო პირებს მუდმივად ჯამაგირები დაუნიშნა. მღვდლებს საქალაქო ან სასოფლო თვითმართველობათ (კომუნებს) უნდა აერჩიათ და ეპისკოპოსები-დეპარტამენტებს. მღვდლებს ახალი კონსტიტუციისათვის უნდა შეეფიცათ. ბევრმა სასულიერო პირმა უარი სთქვა ფიცზე. გაჩნდენ ამგვარად ორგვარი მღვდლები. რესპუბლიკის მომხრენი, ან დაფიცებულნი, რომელთაც ჯამაგირები ხაზინისაგან ეძლეოდათ და დაუფიცებელნი, რომელთაც მათი მომხრეები თავისი ხარჯით ინახავდენ

ამავე დროს სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობაც სამძიმო შეიქნა. შემოსავალი კლებულობდა. გასავალი კი მატულობდა.

მეფის მდგომარეობა აუტანელი იყო. 20—21 ივნისს 1791 წ. ის გაიქცა, მაგრამ იცნეს (ვარენნში) და 25 ივნისს უკანვე დააბრუნეს ამ დროიდან, თუმცა 15 ივლისს გაამართლეს და მისი გაქცევა მხოლოდ მის მრჩეველთ დააბრალეს, საფრანგეთში ფაქტიურად — რესპუბლიკა იყო.

მეფის გაქცევამ ძლიერ შეუწყო ხელი რესპუბლიკის იდეის ზრდასა და მომწიფებას. 17 ივლისს 1791 წ მარსის მოედანზე დიდი მანიფესტაცია გაიმართა, რომელიც რესპუბლიკას მოითხოვდა. მაგრამ ეროვნულმა მილიციამ მის წინააღმდეგ იარაღი იხმარა და მოედანი მოქალაქეთა გვამებით მოჰფინა.

ამგვარად რესპუბლიკის ჟამი ჯერ კიდევ არ დამდგარიყო და, ვინ იცის, ამგვარი საზოგადოებრივი წესწყობილება ეგებ სულაც არ შობილიყო, ძველ თაობას რომ ზომიერება დაეცვა და ახალ კონსტიტუციას გულწრფელად შერიგებოდა.

ბჭობა კონსტიტუციის შესახებ გაგრძელდა 3 სეკტემბრამდის, 14 სეკტ 1791 წლ. მეფემ შეფიცა კონსტიტუციას, რომელიც მას ერთობ მცირე უფლებას უტოვებდა და 30 1791 წ. საერო დამფუძნებელი კრება დაიხურა ძახილით: „გაუმარჯოს მეფეს!“

რა ქნა 1789 წლის რევოლუციამ? — მოსპო ადმინისტრაციული თვთნებობა, ამქართა ძველი, დრო მოჭმული უპირატესობანი, გააუქმა ბატონყმობა, განამტკიცა პიროვნების თავისუფლება, დააწესა გადასახადების სამართლიანი განაწილება, დაუქვემდებარა ხალხს გადასახადების დადებისა და მოწესრიგების საქმე, დააკანონა მინისტრების პასუხისმგებლობა, აღიარა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, პრესის, სიტყვის, უიარაღო შეკრების, წასვლა-წამოსვლისა და სინიდისის თავისუფლება და საჯარო პეტიციების (მოთხოვნათა) მირთმევა მთავრობისათვის (8—14 სეკტ. 1791 წ. კონსტიტუცია).

ყველა დიდი ისტორიული მოძრაობის დროს ყოფილან გმირები და ბრბო, რომელიც მათ მიჰყვებოდა. და რევოლუციის ამ პირველი ხანის პირველი გმირი იყო მსოფლიოს უდიდესი ორატორი მირაბო.

გენერალური შტატების სამი წოდების წარმომადგენელნი ცალ-ცალკე შეიკრიბენ. მესამე წოდების (ვაჭარ მრეწველთა და მდაბიო ხალხის) წარმომადგენლებმა მოიწვიეს თავად-აზნაურობა და სამღვდელოება თავის კრებაზე, რომ ერთად განეხილათ საარჩევნო საბუთები და შემდეგ სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას შესდგომოდენ მაგრამ ეს იუარეს, როგორც მთავრობამ, აგრეთვე მაღალ წოდებათა წარმომადგენლებმა. 10 მაისს 1789 წ. მირაბომ თავისი მგრგვინავი ხმით მიაქცია კრების ყურადღება სიეზის წინადადებასა და მისი სიტყვის გავლენით მესამე წოდების წარმომადგენელებმა თავისი თავი საერო კრებად აღიარეს. ეს დიდი სარევოლუციო აქტი იყო. საზოგადოდ რევოლუციის პირველი ხანაში მირაბომ თავისი მაღალგონიერებისა, გამჭრიახობისა, გამბედაობისა და ორატორული ნიჭის წყალობით უდიდესი რევოლუციონური როლი შეასრულა აი, მაგალითად, მის რევოლუციონური გამოსვლათა ერთი ნიმუში.

23 ივნისს 1789 წ. მოხდა წოდებათა შეერთებული კრება მეფის თანდასწრებით. ერთერთმა კარისკაცმა გამოუცხადა კრებას, მესამე წოდების დადგენილებათ ძალა არ აქვსო, სამივე წოდების წარმომადგენელთ შეუძლიათ ერთად შეიკრიბონ და დაეხმარონ მთავრობას რეფორმების შემოღების საქმეში, ჩვეულებრივ კი ცალცალკე უნდა იკრიბებოდენო. თუ არა, — მთავრობა მარტოც შეასრულებს თავის მოვალეობასო. შემდეგ მეფემ, კარის კაცებმა, თავადაზნაურობამ და სამღვდელოების ნაწილმა დასტოვეს კრება. დარჩა მარტო მესამე წოდება და, როდესაც ობერ-ცერემონიმეისტრმა გამოუცხადა მეფის სახელით კრებას, დაიშალენითო, მირაბომ მქუხარე ხმით შეუძახა: თქვენ ამ კრებაზე არც ადგილი გაქვსთ და არც ხმა და ჩვენ აქ დავრჩებით, ვიდრე ხიშტებით არ გაგვრეკავენო და დეპუტატებმა გამოაცხადეს თავი ხელშეუხებლად. ამის შემდეგ ხალხი აღელვდა. მთავრობა შეშინდა და თავადაზნაურობის ნაწილი შეუერთდა კრებას.

შემდეგ კი მირაბო ზომიერების გზას დაადგა და ძნელი სათქმელია, რით გათავდებოდა მისი პოლიტიკური სარბიელი, რომ მის სიცოცხლეს ადრე არ მოღებოდა ბოლო (4 აპრილს 1791 წ.).

დიდი ისტორიული როლი ხვდა წილად დეპუტატს ბაილის, რომელიც 10 ივნისს 1879 წ. ისტორიულ სხდომაზე კრების თავმჯდომარედ იყო არჩეული. 20 ივნისს, როდესაც საერო კრებას მისი დარბაზის კარები დაკეტილი დახვდა და დეპუტატები ბურთის სათამაშო მანეჟში შეიკრიბენ, ბაილიმ მათ ამგვარი ფიცი მიაღებინა: ვფიცავთ არ დავიშალოთ და ვკრიბებოდეთ, სადაც კი გარემოება ნებას მოგვცემს, ვიდრე სამეფოს კონსტიტუცია მტკიცე საფუძველზე დაფუძნებული არ იქნება. ბასტილიის აღების შემდეგ ის პარიზის მერად აირჩიეს. მესამე დიდი პიროვნება იყო ლაფაეტი, ჩრდილო ამერიკის შტატების განთავისუფლებისათვის მებრძოლი, თავისუფლების მოყვარე, სიტყვისა და საქმის რაინდი და კეთილ სინიდისიერი კაცი და მოქალაქე. ბასტილიის აღების შემდეგ მას სამოქალაქო მილიციის შედგენა მოანდვეს.

კამილ დემულენი, რევოლუციის უდიდესი პუბლიცისტი, იყო გმირი 14 ივლისის 1789 წ. ამ დღეს სხვათა შორის მისმა მგზნებარე სიტყვამაც გაიტაცა და აღელვა ხალხი.

შესანიშნავი პიროვნება იყო აგრეთვე აბბატი სიეზი, რომელიც უკვე ზევით ვახსენეთ. რევოლუციის პირველი ხანის აუარებელ საგიტაციო წიგნაკთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მისი წიგნაკი, რომელშიაც ავტორი ასე ახასიათებდა მესამე წოდებას: არ არის მესამე წოდება? ყველაფერი. რა იყო დღემდის? არაფერი. არ სწადია? მასა სწადია იყოს რამე.

რაც შეეხება იაკობელთა კლუბის ბელადებს, რობესპიერს, დანტონსა, მარატსა და სხ, რევოლუციის სადავე პირველ ხანაშივე თანდათან გადადიოდა მათ ხელში.

ნათქვამიდან ჩანს, რომ რევოლუციის პირველი ხანა ეროვნული მოძრაობა იყო, ე. ი. თითქმის მთელი ერი ერთად გამოვიდა და ერთსადაიმავეს მოითხოვდა. და, თუმცა მოძრაობას ბურჟუაზია, ე. ი. მესამე წოდება, უდგა სათავეში, მაგრამ მდაბიო ხალხიცა და მაღალ წოდებათა დიდი ნაწილიც მას მოჰყვებოდენ. არც პარტიებს ჰქონიათ ერთმანეთს შორის ჯერ შეურიგებელი განხეთქილება. და ამ ერთსულოვანს ეროვნულ მოძრაობას' რასაკვირველია, დიდი სოციალური შედეგები მოჰყვა თან.

ვასილ წერეთელი.

ან თავადი ამოჰყოფს თავს და ან ჩინოვნიკი!

არა გჯერათ?

აბა ჩამოათვალიერეთ თითოეული თქვენთაგანი, თუ ჩემი სიტყვები არ გენიშნოსთ:

თქვენ ხომ ბევრი არა ხართ! (დირიჟორები, რასაკვირველია)

1900—1903 წ.წ ის ახალგაზრდობა, რომელმაც წმინდა დემოკრატიული ჰანგი აიღო (ამ დრომდე უფრო თავად-აზნაურული ინტელიგენცია მოღვაწეობდა) გაიყო ორ შტოთ. ერთი ჯგუფი დაადგა წმინდა მარქსისტობას, ხელაღებით შეუერთდა რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას, დაჰკარგა, თუ თავის ნებით უარჰყო თავისი ქართველური ვინაობა და იწოდნენ ეს-დეკებად.

მეორე შტო კი დარჩა ისევ ეროვნულ ფარგლებში და მიიღო მხოლოდ წმინდა დემოკრატიული პროგრამა.

როგორც პირველსა, ისე მეორე შტოში დაიწყო ერთგვარი „დიფერენციაცია" მოძღვრება—მცნებათა. ესდეკებს გაუჩნდათ „მენშევიკები" და „ბოლშევიკები" ჩვენ კი „ივერიელები" და „ცნობის ფურცლელები". (განახლებული „ივერია" დაარსდა 1904 წ, „ცნობის ფურცელი" კი წინადაც იყო).

ესდეკები დარჩენ განუყრელად, ჩვენ კი დავიწყეთ განგანზე გაწევა.

დადგა სამახსოვრო 1905 წელი დაჰბერა ძლიერმა ქარიშხალმა. მთელი რუსეთი შეარხია და დაიწყო ღირებულებათა შეფასება...

ჩვენი ესდეკები ორგანიზაციულად მომზადებულნი შეხვდენ ამ ქარიშხალს და მთელი საქართველო ხელში დაიჭირეს. ყველა, სრულიად გადაღუპულ და უმნიშვნელო სოფელშიაც კი, გაგზავნეს თავისი კაცები. დაიწყეს ქადაგება ყოვლისა და ყველაფრისა, გარდა ეროვნულ მოთხოვნილებათა. საუკუნოებით დამონებული მშრომელი ხალხი, ხალხი დაბეჩავებული, დაბრიყვებული, მშიერი უვიცი წყაროს წყლივით დაეწაფა მათ მოძღვრებას და დღედღეზე მოელოდა გამომცხვარ ქადებსაც,—რომელთაც გულუხვად ჰპირდებოდენ ენა-ამოდგმულნი უვიცნი, თუ მეცნიერნი.

ქალაქის მუშები ხომ იმათი იყო და იმათი, საქმე ის არის, რომ გლეხებიც გადაიბირეს, თუმცა ამ გლეხებს მათ მოძღვრებასთან არაფერი საერთო არა აქვთ—რა.

ნათქვამია: მადა ჭამაში მოდისო და გათამამებულმა ესდეკებმა ყველას თავისი დროშა გადააფარეს.

ჩვენ რაღა გავაკეთეთ?

არავისათვის დამალული არ არის, რომ იმ ხანებში ჩვენ ძალზე დამარცხებულნი დავრჩით, რადგანაც საკმაო ტეხნიკური მომზადება არა გვქონდა. მართალია, ჩვენც რაღას ვცოდვილობდით, შემდეგში შესამჩნევადაც შევებრძოლეთ ეროვნულ მიმართულების მოწინააღმდეგეთ, მაგრამ პირველ ხანებში კი პირში „ჩალაგამოვლებულნი დავრჩით.

ამავე დროს ჩვენ, ივერიელნი", და „ცნობის ფურცლელები" ძალიან დავშორდით ერთმანეთს.

„ცნობის ფურცლელები" გასოციალისტდენ. „ივერიელნი" კი იმდენად ცოტანი ვიყავით, რომ ველარ გავუმკლავდით მოზღვავებულს ფიზიკურ ძალას, ესდეკების დადგენილებისამებრ დავკეტეთ რედაქცია, შევწყვიტეთ გაზეთ „ივერიის" გამოცემა და გულის ტკივილით დავიფანტენით. (1905 წლის გაზაფხულზე.).

აი, ამ დროიდან იწყება, ასე ვსთქვათ, „ამაღლება" ჩვენი ფედერალისტებისა, რომელთაც გულწრფელათა თუ „ტაქტიკურის მოსაზრებით" მიიკრეს „სოციალიზმის" იარლიყი და თავისი თავი ქართველობის მხსნელად დასახეს.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ „ფედერალისტებს" არ შეურცხვენიათ ეროვნული დროშა, მაგრამ ამ დროშის ქვეშ რამდენი იდგა წმინდა წყალის ფედერალისტი? აი ის საკითხი, რომელიც, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა. თურმე დღევანდელი ფედერალისტებისათვის არ არსებულა.

მე კი მგონია, რომ ამ საკითხის სინიდისიერად გადაწყვეტა დაგვანახვებს, რომ ჩვენ, არაფედერალისტები, იმდენად ყბადაღებლები არა ვართ, რამდენადაც ამას კადნიერდებიან „მეგობარ-ზეირთ-სახალხოელები".

იმის შემდეგ, რაც ქ. გორში დაარსდა გაზეთი „ქართლი", თბილისში ჯერ „კლდე", მერე „საქართველო", სიღნაღში—„ხმა კახეთისა", თბილისშივე „ზაკავკაზიე" და „ზაკავკაზსკაია რეჩ", ქუთაისში „იმერეთ-ახალი ივერია" და შემდეგ „სამშობლო", იმის შემდეგ, რაც შესდგა „ახალი ჯგუფი ეროვნულ დემოკრატებისა"—გადაჭრით უნდა ვსთქვა, რომ ეროვნული დროშა ჩვენ, არაფედერალისტებს, ორი ხელით გვჭირებია წინადაც და ახლა ხომ მას ვერავინ შეგვეცილება, თუ, რასაკვირველია, ყველა ზემოდ ჩამოთვლილ გაზეთების გარშემო კრებილმა ჯგუფებმა ერთმანეთს ხელი მისცეს, შეიმუშავეს ერთი წმინდა ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა.

ყოველ შემთხვევაში, თუნდაც წვრილმანებშიც რომ ვერ შევთანხმდეთ, წმინდა ეროვნულ იდეის მატარებელნი მაინც ერთი ათად და ერთი ოცად მეტნი ვიქნებით, ვიდრე „ეროვნულ-სოციალისტები".

რა დასკვნა გამოდის აქედან?

ის, რომ ჩვენი ფედერალისტები ტყუილად ფაფხურობენ და ტყუილად ბაქიაობენ!

თუ არ შერცხვებათ ჩვენ „ნაციონალ-სოციალისტებს" და გულწრფელად, სინიდისის ქვეშ აღიარებენ, რომ ბევრი მათგანი ტყუილად ეტმასნება ფედერალიზმს და ისე არ არის „სოციალისტი", როგორც მე ებრაელი, მაშინ ხელში შეგვრჩება მხოლოდ ოცი ან ორმოცი „ნაციონალ-სოციალისტი" მთელ საქართველოში.*)

გვიკიჟინებენ ჩვენ, არაფედერალისტებს, „აპოლიტიზმსა და ობივატელობას."

განა ასაშფოთებელი და თან სასაცილო ტრაბახი არ არის, როცა ოცი და ორმოცი კაცი გაიძახის: ჩვენა ვართ, რაცა ვართ, და ჭკუასა და პოლიტიკას ჩვენვე გასწავლითო.

ან რომელ „პოლიტიკას" გვაკვეხიან?

იმას ხომ არა, ბ-ნმა იმ-ამმა რომ გამართა სოხუმთან!

სხვა აბა რა გაუკეთებიათ თვალსაჩინო?

წერა, კითხვის საზოგადოება?

ბანკები?

თეატრი?

სკოლები?

წიგნების გამომცემელი ამხანაგობა?

მაშ რა, აბა, რა არის თქვენი გაკეთებული?

იქნება ის, რომ ჭიათურა აყვავდა?

ან ის, რომ საცა მოიკალათეთ, სხვა აღარავინ შეუშვით?

ან შეიძლება იმითი მოგაქვთ თავი, რომ ბავშვებში ქადაგებთ თქვენ ვაჟკაცობას?

შეიძლება ის იყოს თქვენი კეთილი საქმე, რომ.. მაგრამ რაღა გკითხოთ?

ისევ ისა სჯობია, ბატონებო, თქვენ გულს დაუხშოთ და თუ მართლა გიყვარსთ ქვეყანა და ქვეყნის საქმე, კინკლაობას თავი მიანებეთ, უარჰყავით სურვილი გაბატონებისა და ღირსეულებს ღირსეულად მოექეცით ..

აბა, გაიხედ-გამოიხედეთ, დიდო პოლიტიკოსებო, რამდენი რამ არის გასაკეთებელი!

ხომ ხედავთ ჩვენი ქვეყანა უვიცია, ღარიბი, ღვთის ანაბარად მატოვებული!

მაშ, მეტი საქმიანობა და ნაკლები ლაყლაყი, მეტი სამართლიანობა და ნაკლები თავდავიწყება!

აი, ჩვენი უკანასკნელი სიტყვა!

ია კეკლაძე

---

*) შარშან ჩვენ ჯგუფთან მოვიდა დღეს ყველაზე უფრო ჩვენი მაგინებელ-მლანძღველი და თავგამოდებული ფედერალისტი და გვთხოვა, შამუშავეთ თქვენთან და მე დაგანახვებთ, რა სოციალისტებიც არიან ჩვენი ფედერალისტებიო. აი, ასეთი კაცები გვიწუნებენ ჩვენ იდეასა და პრინციპს. რატომ ღმერთი არ გაიცინებს!

აი, ამ „ჯარის" პატრონი, ბატონებო,

რუსეთი.

რით დასრულდა პიროგოვის ყრილობა

ყრილობას უნდოდა უკანასკნელი სხდომა კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში მოეხდინა, მაგრამ ადმინისტრაციამ ნება არ დართო. უკანასკნელ სხდომას ათასზე მეტი კაცი დაესწრო: საშინელი ვიწროობა და ჯგლეთა იყო. საზოგადო კრებამ დაამტკიცა ყველა ის რეზოლუციები, რომლებიც სექციებმა წინა სხდომაზე გამოიტანეს სამხედრო სანიტარულ უწყების მოქმედების შესახებ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ უწყების საქმე მანამ მიდიოდა კარგად, ვიდრე საზოგადოებრივ ძალებთან ჰქონდა მას კავშირი. მერე კი, როცა ის ასეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოსწყდა ჯარის სანიტარული დახმარება ნაყოფიერად ვერ მიდიოდა, რასაც მწუხარებით აღნიშნავს ყრილობა.

სხვათა შორის ყრილობამ მიიღო რეზოლუციები რუსეთის ახლანდელი მდგომარეობისა და ეროვნული საკითხის შესახებ, რომლის პრესაში გამოქვეყნების ნება არ დართეს

დასასრულ თავჯდომარემ საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ რუსეთს მხოლოდ სრული დემოკრატიზაცია უშველის და სხვა არაფერიო

სამი იუბილე.

17 აპრილს პეტროგრადში სამოსამართლო დაწესებულებებმა სამი იუბილე ერთად გადაიხადეს. ერთი 50 წლის თავი პეტროგრადში სამოსამართლო დაწესებულებების რეფორმის შემოღებისა, მეორე 50 წლის თავი პეტროგრადში ნაფიც ვექილთა საბჭოს დაარსებისა, მესამე 50 წლის თავი ამავე საბჭოს პირველ უხუცეს თავმჯდომარის, უხუცეს რუსი ვექილის დ. სტაროვის სამოსამართლო დაწესებულებებში სამსახურისა

მღვდელი და მუშების შუამდგომლობა.

უწმინდესმა სინოდმა კოლომენსკის (ქ. კოლომნაში) ქარხნის მუშების შუამდგომლობა მიიღო, რომლითაც მუშები ვითომ თხოვილობენ, რომ მღვდელი ვოსტოკოვი ქ. კოლომნაში დასტოვონ და იქიდან არ გადაიყვანონ. როგორც წინანდელი ცნობებიდან ვიცით, ამ მღვდელს ბევრ რასმე შეუფერებელს აბრალებენ რისთვისაც ის სინოდმა უნდა გაასამართლოს.

ექსპროპრიატორების დაჭერა.

ამას წინათ მკითხველებს ვაცნობებდით, რომ პეტროგრადში ვიბორგის მხარეზე პავაინენის ქარხანასთან ექსპროპრიატორებმა არა ჩვეულებრივი თავდასხმა მოახდინეს ახალი ამ საქმის გამო პეტროგრადის გაზეთები იუწყებიან, რომ პოლიციამ ყაჩაღების ბინას მიაგნო და ისინი შეიპყროვაი. როგორ მოხდა ეს ამბავი: პოლიციელების რაზმმა 16 აპრილს ალყა შემოარტყა კისილევის კუნძულზე სახლს №57, სადაც ჩხრეკის დროს სამი ყაჩაღი აღმოაჩინეს, რომელთაც ზემოხსენებულ ექსპროპრიაციაში მონაწილეობა მიუღიათ ისინი რათქმა უნდა, პოლიციამ დაატუსაღა და ციხეში გაგზავნა.

ისინი პეტროგრადის ყოფილი მუშები აღმოჩნდენ შეპყრობის დროს დაპირეს პოლიციისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ; მაგრამ პოლიციამ მოასწრო და მათ იარაღი აართვა ჩხრეკამ ბინაზე აღმოაჩინა: რევოლვერები პატრონები, და ზოგი საეჭვო ნივთები, რომლებიც მათ ექსპროპრიატორობას, ამტკიცებდენ. ამავე დროს პოლიციის რაზმმა მეორე ალაგას მე 10№ სახლში ექსპროპრიატორების ბელადი შეიპყრო, რომელსაც ბრაუნინგის რევოლვერის გარდა ისეთი მიწერმოწერაც აღმოაჩნდა, რომელიც ექსპროპრიაციაში მის მონაწილეობას ამჟღავნებს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

21 აპრილი

ლონდონი. 20 აპრილს დილონში მტრის ჰაეროპლანებმა 6 ყუმბარა ჩამოაგდეს, რითაც რკინის გზაზე ძლიერ დაზიანდა რამდენიმე სახლი.

გუშინდელ საჰაერო თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობდა 6 ცეპელინი. დაჭრილია 19 კაცი და 8 ქალი, დანგრეულია 19 სახლი.

ირლანდიაში მდგომარეობა უმჯობესდება აჯანყების მომწყობთ თან და თან ატუსაღებენ.

რომი. ბრძოლა ხდებოდა მაღლობ ადგილებში. ჩვენმა ჯარმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავა პოზიცია 3082 მეტრზე ტყვეთ წამოიყვანა 103 კაცი სამი ოფიცერი. იხელთა სასროლი მასალა

პარიზი. კონგის აღმოსავლეთით ბელგიელებმა გერმანელებს უკან დაახევინეს ბელგიელები გერმანელების მიწა წყალზე შეიჭრენ.

ლონდონი. ირლანდიის აჯანყების მსხვერპლი ჯერჯერობით არის 180 კაცი ამათში 70 უკვე გარდაიცვალა აგრეთვე ბევრი დაიღუპა ზარბაზნების მიერ დანგრეულ შენობებში.

დღეობების გამო

სოფ. თხილაწყაროდან და სკანდედან, სადაც 500-მდე კომლი ცხოვრობს, გვთხოვენ გამოვაცხადოთ ჩვენს გაზეთში, რომ მომავალ დღესასწაულებს (გიორგობას და ალავერდობას) ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვენილი ხალხი ვერ გადაიხდიაო

მართლაც, ამ ზღაპრული სიძვირისა და ორი წლის ზედიზედ მოუსავლობის დროს სოფლის მშრომელი ხალხი ისეთს აუტანელს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ თავის ცოლშვილის გამოსაკვებ ლუკმასაც ძლივს შოულობს, არამც თუ დღეობის გადახდაზე იფიქროს. ძალიანაც რომ სურდეს გადახდა დღეობისა, თვით პირობები ისეთია შექმნილი, რომ ვერას გზით ვერ მოახერხებს. ასეთია ყველა მშრომელის საერთო მდგომარეობა სოფლათ და ჩვენა გვგონია, იმდენ გონიერებას გამოიჩენენ რომ მოულოდნელი სტუმრობით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენებენ თავის მასპინძელს.

ერთერთი სოფლის შეძლებულ გლეხს შევეკითხე დღეობის გადახდის შესახებ, მინდოდა გამეგო, თუ რა აზრისა იყო დღეობის გადახდაზე; მისი აზრის გაგება მით უფრო მაინტერესებდა, რადგანაც ვიცოდით, რომ მას ნივთიერი მხარე ხელს უწყობდა დღეობის გადახდისათვის.

— ყოვლად შეუძლებელიაო სთქვა მან, წელს კი არა და არც ამ რამდენ სამე წელიწადს არ შეიძლია გადავიხადო დღეობა, რადგანაც შემდეგ უთუოდ შიმშილით ამომიწყდება ცოლშვილი და ვალიდანაც თავს ველარ გავითავისუფლებო

თუ ასეთი შეხედულებისაა შეძლებული, ნივთიერათ ღონიერი გლეხი, რომელთა რიცხვიც თითოეულ სოფელში 3—4 თუ იქნება, რაღა ითქმის დანარჩენ ღარიბ მცხოვრებთა უმრავლესობაზე, რომელიც დღევანდელმა პირობებმა იმდენათ შეავიწროვა, რომ მთელ ათეულ წლებშიაც ვერ შესძლებს დღეობის გადახდას.

ის, რაც ვერ გააკეთა ზედმეტი ხარჯების მოსპობაზე ქადაგებამ, თვით ცხოვრების სინამდვილემ ერთი ხელის გაქნევით შესძლო

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა სოფლის გლეხობა ღრმათ ჩაუკვირდება დღევანდელ მდგომარეობას და შეეცდება მომავალშიც თავიდან აიცილოს ხოლმე უსარგებლო ხარჯები და მით ხელი შეუწყოს თავისი ოჯახის ნივთიერათ გაღონიერებას.

ბან—ძისა.

ქართული გაზეთები

ქართულ გაზეთებ[illegible] რი მკითხველი ჰყ[illegible] რაოდენობა უსწავლელი ხალხია, მხოლოდ ქართული წერა-კითხვა იციან გაზეთებს რასაკვირველია, მოზარდი თაობა უფრო ეტანება დიდებს, როგორც კაცებს ეგრეთვე ქალებს, წაკითხულის მოსმენა უადვილებათ. ამ ომის წყალობით, [illegible] ველად ყველა ომის ამბების წაკითხვა ეხვეწება მკითხველს. ომის ამბების შემდეგ დიდი სიამოვნებით ისმენენ სხვა წ[illegible] ხულსაც. როგორც ვიცით, ქართველი კაცი, შინ და გარეთ, განსაკუთრებით გარეშე თანდასწრებით დიდ დარბაისლობას იჩენს უზრდელისა და უხეშ სიტყვებს ყოველი ღონისძიებით ერიდება; ეშინია, არავინ დამძრახოს და უზრდელი [illegible] ცი არ დამიძახონო, ამისთვის თავს იკავებს, სიტყვებს ზომავს და ისე ლაპარაკობს. ვერ წარმოიდგენთ რა უზომო გაკვირვებაში შედის სოფლის უსწავლელი ადამიანი, როდესაც მას გაზეთის ფურცლებიდან ესმის „კუზიანს სადლავი გასწორებს", „ფლიდი", „გაიძვერა", „[illegible] რუმსალი", „შერაზმელი", „უბილ[illegible]" და სხვა მრავალი ამგვარი ბინძური სიტყვები. ჩვენი სოფლის ხალხს „გაზეთის დამწერის", როგორც თვითონ ეძახის, დიდ ნასწავლ კაცებად ყავს წარმოდგენილი, ღრმად სწამსთ მათი სიფაქიზე და ზრდილობა და როდესაც გაზეთის ფურცლებიდან ასეთი ბინძური სიტყვები ესმის, გაოცებული ეკითხებიან გაზეთის წამკითხველს „ნეტავი ვიცოდეთ ვისი დაწერილი არის ეს გაზეთიო", გაზეთი, სხვათა შორის, ზნეობის გამავრცელებელიც არის სოფლად, ამისთვის დიდად სამწუხარო და სავალალოა წერის ასეთი კილო. ამაზე ბევრიც თქმულა და კიდევაც ბევრი დაწერილა, მაგრამ დღემდის საქმის გამასწორებას, ზოგიერთი გაზეთის მხრით მაინც, არაფერი არ ეშველება. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, თუ ქართულმა გაზეთებმა ასეთი უწმაწური ენით წერას თავი არ დაანებეს, შეაძულებენ თავს, ყველას ინტელიგენციაც იძულებული გახდება ზურგი შეაქციოს მათ. დრო არის, ყოველდღიური ქართული გაზეთების გამომცემლები ჩაუკვირდენ ამ მოვლენას.

მ. ბუაჩიძე

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო".

მიღებულია.
ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქუჩა საკუთ. სახლი.)
აბრეშუმის თესლი
ცნობილი ფრანგული ფირმის რუსეთში ფ. ნაგენტრანის რომელიც შემოწმებულია და მოწონებულია თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფზედ აქვს მთავრობის შემოწმებული თეთრი ბანდეროლი პარტიის მყიდველს დაეთმობათ ფას დაკლებით.
დააჩქარეთ თესლის შეძენა.

ავათმყოფნი გონორეი სუსუნატით
დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა ბლენიოზოლი
პროფესორ მორნისა.
ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტრიპერისა, ქაჭების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის ბლენიოზოლი რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.
ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.
პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.
ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველას ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ერთგულესი ია. ნ. კოლეგოვი.
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქ. 9 (წლიური)

სწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კობრიძისა—ქუთაისში.
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.